გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

ხშირად დასმული კითხვები (22.10.2018)

1. შესაძლებელია თუ არა, კონკურსის II ეტაპზე შეიცვალოს პროექტის ხელმძღვანელი?

პასუხი: არა, არ არის შესაძლებელი.

2. რას გულისხმობს კონკურსის პირობებით გათვალისწინებული ტრენინგები და ვინ ატარებს მათ?

პასუხი: ტრენინგები შინაარსობრივად კავშირში უნდა იყოს თქვენი პროექტით გათვალისწინებულ კვლევასთან და უნდა ჩატარდეს სამეწარმეო/ინოვაციური აზროვნების საკითხებზე. ტრენინგი შეიძლება, ჩატარდეს მინიმუმ ერთხელ. ეს შეიძლება იყოს სემინარი/ვორქშოპი, რომელსაც ჩაუტარებთ თქვენ, თქვენ მიერვე არჩეულ მიზნობრივ აუდიტორიას, ან შეგიძლიათ, მოიწვიოთ პირები (მაგ. უცხოელი/ქართველი ექსპერტები, თქვენს კონსორციუმში შემავალი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ა.შ) და მათ ჩაატარებინოთ ხსენებული სემინარი/ვორქშოპი თქვენთვის.

3. ბიუჯეტის რომელ მუხლში უნდა შევიდეს ტრენინგის ხარჯი?

პასუხი: ტრენინგის ხარჯი, რომელიც გათვალისწინებულია გრანტის მიმღები პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად იწერება საქონელი და მომსახურების მუხლის - 4.7.3 ქვემუხლში (კადრების მომზადება გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯები). საქონელი და მომსახურების მუხლიდან შრომის ანაზღაურების ხარჯის გაწევა არ შეიძლება, შესაბამისად, თუ ტრენინგის ჩატარების ხარჯის გაწევა იგეგმება პროექტის ბიუჯეტიდან, ორგანიზაციის მიერ უნდა მოხდეს ტრენინგის ჩატარების მომსახურების ერთჯერადი შესყიდვა - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

სხვა პირებისთვის ჩასატარებელი ტრენინგის ხარჯი იწერება საქონელი და მომსახურების მუხლის - 4.7.5 ქვემუხლში (სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების მუხლი. აღნიშნული მუხლიდან არ ანაზღაურდება ტრანსპორტის, კვების და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯი. აღნიშნული ხარჯები ანზღაურდება საქონელი და მომსახურების მუხლის შესაბამისი ქვემუხლებით 4.5, 4.3 და 4.1 ქვემუხლებიდან.)

4. საჭიროა თუ არა ბიზნეს გამოცდილების მქონე პირმა ძირითადი პერსონალიდან წარმოადგინოს ბიზნეს გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი? თუ საჭიროა, სად უნდა აისახოს ეს დოკუმენტი?

პასუხი: დიახ, საჭიროა. ეს შეიძლება, იყოს ცნობა მიმდინარე ან ყოფილი სამსახურიდან ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ბიზნეს გამოცდილების სინამდვილეს. აღნიშნული დოკუმენტი იტვირთება GMUS-ში, „მეცნიერის პროფილში“, დასაქმების ისტორიის გრაფაში.

5. **რას გულისხმობს ინტერდისციპლინური პროექტი?**

პასუხი: ინტერდისციპლინურია პროექტი, რომელიც მოიცავს EURISTAT/OECD სამეცნიერო კლასიფიკატორით განსაზღვრული საბუნებისმეტყველო, ინჟინერია და ტექნოლოგიების, სამედიცინო/ჯანმრთელობის და აგრარული მეცნიერებების მიმართულებიდან მინიმუმ 2 მიმართულების ნებისმიერ კომბინაციას, ასევე დასახელებული მიმართულებებიდან ერთ-ერთისა და სოციალური ან ჰუმანიტარული მეცნიერებების კომბინაციას.

6. **სავალდებულოა თუ არა კონსორციუმის შექმნისთვის იურიდიული საფუძველი?**

პასუხი: არა, კონსორციუმის შექმნა იურიდიულ საფუძველს არ საჭიროებს.

7. **შესაძლებელია თუ არა ძირითად პერსონალში წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის სახელით ჩავრთო ფიზიკური პირი, რომელიც არ არის აფილირებული ამ ორგანიზაციასთან?**

პასუხი: დიახ, შესაძლებელია. შეთანხმება რეგულირდება თავად ორგანიზაციასა და ფიზიკურ პირს შორის.

8. **შესაძლებელია თუ არა ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული ფიზიკური პირი, რომელიც ჩართულია ძირითად პერსონალში, იყოს კონსორციუმის წევრი სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციიდან?**

პასუხი: დიახ, შესაძლებელია.

9. **რა ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმა?**

პასუხი: ბიზნეს-გეგმის რაიმე კონკრეტული მოდელი კონკურსის პირობებში განსაზღვრული არ არის. ბიზნეს-გეგმის სტრუქტურა და შინაარსი წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტის ავტორების შეხედულებისამებრ.

10. **არის თუ არა შეზღუდვა ძირითადი პერსონალის თვიურ საგრანტო დაფინანსებასა და დამხმარე პერსონალის თვიურ შრომის ანაზღაურებაზე?**

პასუხი: არა, აღნიშნულ ანაზღაურებათა თვიურ ოდენობაზე შეზღუდვა არ ვრცელდება. მთავარია, ძირითადი პერსონალის თვიური საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე

პერსონალის თვიური შრომის ანაზღაურების ჯამური ოდენობა არ აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 50%-ს.

11. კონსორციუმის წევრი ორგანიზაციებისთვის (გარდა სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირისა) მოთხოვნილი წლიური საგრანტო დაფინანსება აუცილებელია, რომ თანაბრად განაწილდეს?

პასუხი: არა, აუცილებელი არ არის. მთავარია, არ გადააჭარბოთ 140 000 ლარიან ლიმიტს ერთი ორგანიზაციისთვის და 420 000 ლარიან ლიმიტს მთლიანი კონსორციუმისთვის.

12. შესაძლებელია თუ არა (უცხოელი) კონსულტანტის ჩართვა პროექტში?

პასუხი: (უცხოელი) კონსულტანტის ჩართულობა შესაძლებელია მხოლოდ მოწვეული სტუმრის სტატუსით. მოწვეული სტუმრების ხარჯების ანაზღაურება ხდება საქონელი და მომსახურების მუხლის წარმომადგენლობითი ხარჯების ქვემუხლიდან, რომელიც მოიცავს მიღებისა და ოფიციალური სადილის, წვეულებისა და სხვა ღონისძიებების, საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიების, სუვენირების შეძენის/დამზადების, აეროპორტში დახვედრის და გაცილების, სატრანსპორტო მომსახურების და მგზავრობის, სასტუმროს მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება და სხვა), არარეზიდენტებისათვის საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორმება, გაგრძელება), და სხვა დანარჩენ წარმომადგენლობით ხარჯებს. დაუშვებელია მოწვეულ სტუმრებზე (მათ შორის კონსულტანტებზე) შრომის ანაზღაურების გაცემა).

13. შესაძლებელია თუ არა, პროექტში ჩართული იყოს ინდ. მეწარმე? თუ შესაძლებელია, რა ფორმით?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია. პროექტში ჩართული ინდ. მეწარმე წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ძირითადი პერსონალის სახით.

14. შესაძლებელია თუ არა, სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ იურიდიულ პირად ჩაითვალოს სსიპ, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას?

პასუხი: არა, არ არის შესაძლებელი.

15. აუცილებელია თუ არა საერთაშორისო თანამშრომლობა?

პასუხი: არა, არ არის აუცილებელი, თუმცა, სასურველია.

16. შესაძლებელია თუ არა, პროექტის ხელმძღვანელი და კოორდინატორი იყოს ერთი და იგივე პირი?

პასუხი: არა, დაუშვებელია.